

ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა: COVID-19-ის ნეგატიური შედეგები -
MASC კვლევა (Mental health care: Adverse Sequelae of Covid-19 -MASC
study).

ლუსი ჯალაღანია

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქიკური ჯანმრთელობის
(სოციალური ფსიქიატრია) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობა (სოციალური ფსიქიატრია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მახაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სატანადო წესების შესაბამისად.

ლუსი ჯალაღანია

01 თებერვალი, 2021 წ.

აბსტრაქტი

შესავალი: COVID-19 ვირუსული ინფექცია ოცდამეერთე საუკუნეში გახდა გლობალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთი მთავარი საფრთხე, რომელიც აისახება ადამიანების როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. პანდემიის ფონზე, მსოფლიო მოსახლეობაში იმატა შფოთვამ და შიშმა. განსაკუთრებით კი საყურადღებოა მოწყვლადი ჯგუფები, რომელთაც მიეკუთვნება ფსიქიკური აშლილობების მქონე ადამიანები. COVID-19 პანდემიისას შეფერხებულია სხვადასხვა თემზე დაფუძნებული სერვისები და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრევენციისა და პოპულარიზაციის პროგრამების მიწოდება, მაშინ როდესაც საზოგადოებას ისინი ყველაზე მეტად სჭირდება ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზემოქმედების დასაძლევად. **კვლევის მიზანი:** კვლევის ზოგადი მიზანია, ვიკვლიოთ COVID-19-ის ზემოქმედება საქართველოში არსებულ ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე. ჩვენ გვინტერესებს შესწავლა იმ ცვლილებებისა, რაც ახალმა რეალობამ მოიტანა და თუ როგორ ზემოქმედებს ეს ფსიქიკური აშლილობების მქონე ადამიანებზე და მათთვის მიწოდებულ სერვისებზე. რა ღონისძიებები გატარდა პანდემიის პირობებში ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების უწყვეტობისთვის თითოეულ დონეზე (ამბულატორია, სტაციონარი, სათემო მომსახურება: მობილური გუნდი, ასერტული, კრიზისული რეაგირება; ადიქციის სერვისები და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული სამსახურები). **მეთოდოლოგია:** კვლევა არის შერეული დიზაინის და მოიცავს როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ კომპონენტებს. თოვლის გუნდის პრინციპი იქნა გამოყენებული ძირითადი ექსპერტული ჯგუფის დახმარებით სხვა ექსპერტების კვლევაში ჩართვისათვის. თითოეულ რესპოდენტთან ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ აღწერილობითი მონაცემების შესაგროვებლად და აგრეთვე, გამოყენებულ იქნა სტრუქტურირებული კითხვარი რაოდენობრივი მონაცემების მისაღებად. **შედეგები:** პანდემიის პირობებში მოხდა ფჯ სერვისებზე ხელმისაწვდომობის

ნაწილობრივი ან სრული შეზღუდვა, რამაც გამოიწვია სოციალური კონტაქტის ნაკლებობა, სოციალური დისტანცირება და სოციალური იზოლაცია. ფჯ სერვისების უმრავლესობამ შეძლო დისტანციურ რეჟიმში სერვისის მიწოდების გაგრძელება, თუმცა სერვისის ამგვარად მოდიფიცირება ზოგ შემთვევაში არაეფექტური იყო, ვინაიდან მომხარებელთა უმრავლესობას არ აქვს შესაბამისი უნარი ან მატერიალური რესურსი. სპეციალიზებულ ფსიქიკურ ჯანდაცვაში, ზოგადი პროფილის საავადმყოფოებში და კერძო და/ ან არასამთავრობო სექტორებში შეფერხების დასაძლევად განხორციელებულ ცვლილებებს შორის ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს დისტანციური მომსახურება - სატელეფონო ან ინტერნეტ - კონსულტაციები. ჩაკეტვამ ე.წ. Lockdown-მა ნეგატიურად იმოქმედა ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებზე, განსაკუთრებით ტრანსპორტის შეზღუდვამ, რაც ხელს უშლის პაციენტთა წვდომას ჯანდაცვის დაწესებულებებზე და სერვისის უწყვეტობას. სამი სერვისის (2 ამბულატორიული განყოფილება და ფსიქოსოციალური ცენტრი) მომართვიანობის მონაცემები პანდემიამდე და პანდემიიდან, გვიჩვენებს, რომ პანდემიიდან მომართვიანობამ იკლო სამივე სერვისში. **ინტერპრეტაცია:** საქართველოში ფჯ სერვისების შეფერხების მიზეზს განაპირობებს მრავალი ფაქტორი, მათ შორის კი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის 2020 წლის გაზაფხულზე და შემოდგომაზე (ე.წ. პანდემიის პირველი და მეორე ტალღის პერიოდი) ჩაკეტვა და ტრანსპორტის გადაადგილების შეზღუდვა. საქართველოში არსებული მდგომარეობა პირდაპირ ეხმიანება ჯანმოს ანგარიშს, რომელშიც ფჯ სერვისების შეფერხების მთავარი მიზეზი - მგზავრობის შეზღუდვა და პაციენტთა გამოუცხადებლობაა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პანდემიის პირობებში მომართვიანობის შემცირება სწორედ ამ მიზეზების ზეგავლენით არის გამოწვეული. **დასკვნა:** კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფჯ სერვისებმა ნაწილობრივ უპასუხეს COVID-19-ით გამოწვეულ სირთულეებს. COVID-19 პანდემიის ზეგავლენით საქართველოში არსებული სათემო და ჰოსპიტალური სერვისის - მიწოდება და გამტარიანობა შეიზღუდა, ინფექციის გავრცელების პრევენციის

მიზნით. ფიზიკური/სომატური ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობა, რიგ შემთხვევაში შეიზღუდა, განსაკუთრებით ჩაკეტვის (Lockdown) და ტრანსპორტის გადაადგილების შეზღუდვების დროს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: COVID-19 პანდემიისას ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების შეფერხების მიზეზები, განხორციელებული ცვლილებები შეფერხების დასაძლევად.

Abstract

Introduction: The COVID-19 viral infection has become one of the major threats to global public health in the twenty-first century, affecting both the physical and the mental health of people. In the context of the pandemic, anxiety and fear have increased among the world population. Particularly noteworthy are the vulnerable groups to which belong people with mental disorders. The COVID-19 pandemic has restricted the delivery of community-based services and mental health prevention and promotion programs, while people need them the most to overcome the negative impacts on mental health. **Aim of the study:** The general aim of the study is to investigate the impact of COVID-19 on mental health services available in Georgia. We are interested in studying the changes that the new reality has brought to us and how it affects people with mental disorders and the services provided to them. What measures have been taken in the context of the pandemic to ensure the continuity of mental health services at each level (outpatient, inpatient, community services: mobile team, assertive, crisis response; addiction services and services provided by the NGOs). **Methodology:** The study is of a mixed design and includes both qualitative and quantitative components. The snowball sampling technique was used to engage other experts in the study with the help of the core expert group. In-depth interviews were conducted with each respondent to collect the

descriptive data and furthermore a structured questionnaire was used to obtain the quantitative data. **Results:** Access to mental health services was partially or completely restricted in the pandemic, leading to the lack of social contact, to social distancing and social isolation. Most of the mental health services were able to continue providing their service remotely, however modifying the service in such a way was ineffective in some cases, as most of the beneficiaries do not have the appropriate skills or material resources. The main modification in order to overcome the disruption in the specialized mental healthcare, the general-purpose hospitals, and the private and / or non-government sectors is the remote service - telephone or internet counseling. The lockdown has had a negative impact on people with mental disorders, especially the transportation restrictions that have prevented patients from accessing health facilities and have disrupted the continuity of the service. Data on referrals from three services (2 outpatient departments and a psychosocial center) during the time before the pandemic and from the pandemic, show that referrals decreased in all three services in the pandemic. **Interpretation:** There are many factors responsible for the disruption of the mental health services in Georgia, with one of the main reasons being the lockdown in spring and autumn of 2020 (the so-called first and the second wave of the pandemic) and the restriction of the transportation. The current situation in Georgia directly corresponds to the WHO report, in which the main reasons for the disruption of the mental health services are the travel restrictions and the patients' absence. We can assume that the decline in referrals during the pandemic is caused by the influence of this very same reason. **Conclusion:** Based on the results of the study, we can conclude that the mental health services have partially responded to the difficulties caused by the COVID-19. The supply and permeability of the community-based and hospital services in Georgia have been restricted due to the COVID-19 pandemic, to prevent the spread of the infection. Access to the physical / somatic health services has been limited in some cases, especially during the lockdown and transportation restrictions.

Keywords: Access to the mental health services during the COVID-19 pandemic, reasons for the disruption in mental health services, modifications made to overcome the disruptions.